რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 528/თ

„13“ ნოემბერი, 2024 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა ყოველთვიური სტატისტიკის ფორმის დამტკიცების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე, ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს) და ამ ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად.

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესწავლისა და გაანალიზების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიმაჩნია დამტკიცდეს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეთა წარმოების აღმნუსხვნელი ყოველთვიური ინდივიდუალური სტატისტიკური ფორმა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის № 466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა ყოველთვიური სტატისტიკის ფორმა:

   ა) სისხლის სამართლის საქმეებზე - დანართი №1-ის სახით;

   ბ) ადმინისტრაციულ საქმეებზე - დანართი №2-ის სახით;

გ) სამოქალაქო საქმეებზე - დანართი №3-ის სახით.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწე, ხოლო მისი არყოფნისას რუსთავის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სხდომის მდივანი, ასევე მაგისტრატი მოსამართლის და მაგისტრი მოხელის აპარატის სხდომის მდივანი, ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვისა შეადგინოს (სავალდებულოდ მიუთითოს კუთვნილებისამებრ დანართ №1-ში, დანართ №2-ში ან დანართ №3-ში, მითითებული ყველა ინფორმაცია) და სასამართლოს მენეჯერს გადასცეს ამ ბრძანებით დამტკიცებული სტატისტიკური ფორმა (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3), რომელიც დაუყოვნებლივ წარედგინება სასამართლოს თავმჯდომარეს;

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს;

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლეებსა და აპარატის თანამშრომლებს;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე

დანართი №1

დამტკიცებულია
რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
2024 წლის „13“ ნოემბრის №528/თ ბრძანებით

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების 2024 წლის _____თვის სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის საქმეებზე

მოსამართლე: _____

ამ თვეში შემოსული საქმეების ჯამი					
მ. შ. არსებითი					
მ.შ. წინა სასამართლო სხდომის მასალები					
მ.შ. სხვა კატეგორიის საქმეები					
დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ი ა					
დასრულდა არსებითი განხილვით					
დასრულდა საპროცესო შეთანხმებით					
ნაშთად დარჩენილი წსს-ს მასალები	წსს-ს ეტაპიდან საქმე გადავიდა არსებით სხდომაზე	წსს დასრულდა საპროცესოთი (წსს-ზე საპროცესო)			
განსახილველი დარჩა					
არსებითი საპატიმრო	არსებითი არასაპატიმრო	ძებნილი			
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191[1] მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევების რაოდენობა					
კანცელარიაში ჩაბარებულ საქმეთა რაოდენობა					
კანცელარიაში ჩასაბარებელ საქმეთა რაოდენობა					
განხილული შუამდგომლობები					
ა ღ კ ვ ე თ ი ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ე ბ ი (სულ) **(მ.შ. განუხილველად დატოვებული)**					
მათ შორის მორიგეობის დროს					
აღკვეთზე საპროცესო შეთანხმებით					
მათ შორის მორიგეობის დროს					
საგამოძიებო მოქმედებები					
მათ შორის მორიგეობის დროს					
ფარული საგამოძიებო მოქმედებები					

მათ შორის მორიგეობის დროს			
დასრულებული სხვა კატეგორიის საქმეები			
შემოსული განცხადებების რაოდენობა			
დაერთო საქმეს			
გაეცა პასუხი			
განსახილველია			
საერთაშორისო დავალება - დამთავრდა/განხილვაშია/ერთთვიანი ვადა დარღვეულია			
ჩატარებული პროცესების რაოდენობა			
სხდომაზე წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებული განკარგულებების რაოდენობა			

მოსამართლის თანაშემწე: _____

დანართი №2

დამტკიცებულია
რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
2024 წლის „13“ ნოემბრის №528/თ ბრძანებით

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების 2024 წლის _____ სტატისტიკური მონაცემები ადმინისტრაციულ საქმეებზე

მოსამართლე: _____

შემოსული საქმეების ჯამი		
მათ შორის	პირველად შემოსული	
	აპელაციიდან ხელახლა განსახილველად დაბრუნებული	
	განმეორებით შემოსული (განუხილველად დატოვებისა და მიღებაზე უარის შემდგომ)	
	მიღებულია წარმოებაში	
	ჯერ არ არის ნამსჯელი წარმოებაში მიღებაზე (შემოსვლიდან არ არის გასული 5 დღიანი ვადა)	
	დადგენილია ხარვეზი	
	საქმეთა საერთო ნაშთი	
	ზემოთ აღნიშნულ გრაფებში არ მიეთითება შემაკავებელი ორდერის გასაჩივრება, დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნა და ფსიქიატრიულში მოთავსების საქმეები	
ნაშთად არსებული საქმეებიდან შეჩერებულია		
ნაშთად დარჩენილი საქმეებიდა წარმოებაში მიღების ეტაპიდან ჯერ არ ამოწურულა ორ თვიანი განხილვის ვადა		
ნაშთად დარჩენილი საქმეებიდან წარმოებაში მიღების ეტაპიდან ჯერ არ ამოწურულა ხუთ თვიანი განხილვის ვადა		
ნაშთად დარჩენილი საქმეებიდან განხილვის ვადა დარღვეულია		
განხილული საქმეების ჯამი		
გადაწყვეტილება (განჩინება) ჩასაბარებელია		
რამდენი საქმე ჩაბარდა კანცელარიას		

რამდენი საქმეა ჩასაბარებელი კანცელარიაში			
რამდენ შემთხვევაში იქნა გამოცემული განკარგულება სხდომაზე წესრიგის დარღვევისათვის			
რამდენი საქმე გაიგზავნა განსჯადობით			
ჩატარებული პროცესის რაოდენობა			
შემოსული განცხადებები მ/შ იგულისხმება ყველა გრაფებში აღნიშნული სახეობები)			
დაერთო საქმეს			
გაეცა პასუხი			
განსახილველია			
ვადიანი სამართალდარღვევის საქმე შემოვიდა			
ვადიანი სამართალდარღვევის საქმე დამთავრდა			
რამდენი სამართლდარღვევა შემოვიდა მორიგეობისას და რამდენი დამთავრდა			
შემაკავებელი ორდერის გასაჩივრება შემოვიდა			
შემაკავებელი ორდერის გასაჩივრება დამთავრდა			
დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ შემოვიდა			
დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ დამთავრდა			
არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ შემოვიდა			
უცხო ქვეყნის მოქალაქის დეპორტაციისთან დაკავშირებით პატიმრობის მოთხოვნა შემოვიდა/განხილვაშია/დამთავრდა			

მოსამართლის თანაშემწე : _____

დანართი №3

დამტკიცებულია
რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
2024 წლის „13“ ნოემბრის №528/თ ბრძანებით

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების 2024 წლის _____ თვის სტატისტიკური მონაცემები სამოქალაქო საქმეებზე

მოსამართლე: _____

შემოსული საქმეების ჯამი		
მათ შორის	პირველად შემოსული	
	აპელაციიდან ხელახლა განსახილველად დაბრუნებული	
	განმეორებით შემოსული (განუხილველად დატოვებისა და მიღებაზე უარის შემდგომ)	
მათ შორის	განსახილველ საქმეთა საერთო ნაშთი	
	ხარვეზზე დატოვებუ საქმეთა რაოდენობა	
	ნაშთად დარჩენილ საქმეებში მხარეს ჯერ არ აქვს წარმოდგენილი მოპასუხისთვის სარჩელის ჩაბარების დასტური	
	ნაშთად დარჩენილ საქმეებში დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულია და მიმდინარეობს გადაწყვეტილების მომზადების და მხარისთვის ჩაბარების პროცედურები	
	მედიაციისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობა	
მოპასუხისთვის გზავნილი ჩაბარებულად მიჩნევიდან ჯერ არ გასულა ორ თვიანი განხილვის ვადა		
მოპასუხისთვის გზავნილი ჩაბარებულად მიჩნევიდან ჯერ არ გასულა ხუთ თვიანი განხილვის ვადა		
განხილვის ვადა დარღვეულია		
განხილული საქმეების ჯამი (იგულისხმება გადაწყვეტილება და კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილება)		
გადაწყვეტილება (განჩინება) გაგზავნილია ვადაში		
გადაწყვეტილება (განჩინება) გაგზავნილია ვადის გადაცილებით		
გადაწყვეტილება (განჩინება) ჩასაბარებელია		

კანცელარიისთვის ჩაბარებული საქმეების რაოდენობა	
კანცელარიისთვის ჩასაბარებელი საქმეების რაოდენობა	
რამდენ შემთხვევაში იქნა გამოცემული განკარგულება სხდომაზე წესრიგის დარღვევისათვის	
ჩატარებული პროცესების რაოდენობა	
შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობა	
რამდენი განცხადება დაერთო საქმეს	
რამდენ განცხადებას გაეცა პასუხი	
რამდენი განცხადება დარჩა განსახილველი	

მოსამართლის თანაშემწე: _____